მომხმარებლის უფლებების შესახებ/ C-481/99

შესაბამისობის ცხრილი

<table>
<tr><td colspan="2">ევროკავშირის სამართლებრივი აქტი:

1. საქმე C-481/99 ჯორჯ ჰეინინგერი, ჰელგა ჰეინინგერი, ბეიერიშ ჰიპო და ვერაინსბანკი AG (2011/83 დირექტივასთან დაკავშირებით)</td><td colspan="5">საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:

1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“

სშ - სრულად შესაბამისი
ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი
შ - შეუსაბამო
ას - არა სავალდებულო</td></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td></tr>
</table>

1.1	საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577/EEC მომხმარებელთა დაცვის შესახებ სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მისი მოქმედება გავრცელდეს უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულბაზე, მსგავსად იმისა, რომელიც წარმოდგენილი იყო საქმეში, რაც გულისხმობს, რომ დირექტივის მე-5 მუხლში განსაზღვრული, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, რომელმაც დადო ასეთი სახის ხელშეკრულება 1-ელ მუხლში დაზუსტებულ ერთ-ერთ შემთხვევაში.	1	16.1	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება საფინანსო და სადაზღვევო სფეროში დადებულ ხელშეკრულებაზე, გარდა სარეწს გარეთ დადებული, ქონებით უზრუნველყოფილი საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებისა.	სშ	

1.2	დირექტივა 85/577 წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული კანონმდებლობის ისეთ დათქმასთან, რომელიც აწესებს ხელშეკრულბის დადებიდან ერთ წლიან ვადას მე-5 მუხლში განსაზღვრულ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების, გამოსაყენებლად, როდესაც მომხმარებელს არ მიუღია მე-4 მუხლში მითითებული ინფორმაცია.	1	14.8	იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე მომხმარებელს არ მიაწვდის ინფორმაციას ამ კანონით გათვალისწინებული პროდუქტის უკან დაბრუნების უფლების შესახებ, პროდუქტის უკან დაბრუნების ვადა აითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლის პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.	სშ	